

რატომ დასჭირდა „მულტიპლექს სოლუშენს“ ექვსი თვე ხელშეკრულების გაფორმების გასასხენებლად?

ვის და რატომ მიჰყიდეს (ან კი მიჰყიდეს?) პრაქტიკის პრაქტიკით „თბილისის წყალი“?

ენიო მანიაშვილი

დედაქალაქის წყლით მომარაგების კომპანია „თბილისის წყალი“ 2007 წლის 27 ოქტომბერს Multiplex Solutions-მა 85 მილიონ აშშ დოლარად იყიდა. ასეთი „სასიხარულო“ ინფორმაცია დიდი ზარზემით გაავრცელეს მყიდველებმაც და გამყიდველებმაც! მიუხედავად ამისა, როგორც გავარკვიეთ, ხელშეკრულება დღემდე არ გაფორმებულა. ამომწურავ პასუხს კი არც ეკონომიკის სამინისტროში იძლევიან და არც თბილისის მერიაში. თუმცა, თვითონ „თბილწყალშიც“ ვერ გაურკვევიათ, „თავის თავს ეყუდვიან“ თუ ვინმეს საკუთრებას წარმოადგენენ!

ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადებით, იგი შვეიცარიული კომპანიაა, თუმცა კომპანიის შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდება ვერ შეძლო. მხოლოდ იმის გარკვევა მოვახერხეთ, რომ „მულტიპლექს სოლუშენსი“



ენიო მანიაშვილი

2005 წლის აგვისტოში შეიქმნა ფენიკსი. ხოლო კომპანიის თბილისის ოფისის განცხადებით კი, მას წყალგანაწილების ქსელების მართვის გამოცდილება არ გააჩნია და მომავალში ოპერატორ კომპანიასთან გეგმავს კონტრაქტის გაფორმებას. „თბილისის წყლისთვის“ ბოლო ეტაპზე სულ 6 კომპანია იბრძოდა.



მიუხედავად იმისა, რომ Aqualia მზად იყო 107 მილიონი აშშ დოლარი გადაეხადა, Penta კი – 91 მილიონი აშშ დოლარი, ეკონომიკის სამინისტრომ არჩევანი მაინც „მულტიპლექს სოლუშენსზე“ შეაჩერა. მათი განცხადებით, კომპანია პირობა დადო, რომ 350 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს წყლის განაწილების ქსელის რეაბილიტაციაში და წყლის ტარიფებს მომდევნო ორი წლის მანძილზე არ გაზრდის.

შექმნილმა მდგომარეობამ საკმაოდ ბევრი კითხვის ნიშანი დაბადა. ამიტომაც „ნაციონალურმა ბიზნესმა“ გადაწყვიტა გაერკვია, თუ „სად იყო ძალის თავი დამარხული“!

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენელმა, დავით ჭიპაშვილმა წყლის სექტორში მიმდინარე პროცესებში არსებულ დარღვევებზე გაამახვილა ყურადღება. მისი აზრით, „ჩატარებული ტენდერი უკანონოა. „თბილისის წყალში“ მიმდინარე მოვლენები კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა მას შემდეგ, რაც საკრებულოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემა თბილისის მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მოულოდნელად შეტანილ იქნა საპრივატიზაციო ნუსხაში. აღნიშნული გადაწყვეტილებით დარღვეულ იქნა საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ“. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ჩატარებული ტენდერი უკანონოა.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას, „მულტიპლექს სოლუშენსს“, ერთი მხრივ, წყლის სექტორის მართვის

არანაირი გამოცდილება არ გააჩნია, და მეორე მხრივ, საეჭვოა თვით ამ კომპანიის წარმომავლობაც; – აცხადებს **დავით ჭიპაშვილი**.

„თბილისის წყალზე“ ტენდერის გამოცხადებისთანავე, „ლეიბორის-ტულმა პარტიამ“ სასამართლოს მიმართა, მაგრამ მათი სარჩელი არ დაკმაყოფილდა. „მოგესვენებთ, საქართველოში სასამართლო სისტემა არ არსებობს, შესაბამისად, გვიპასუხეს ისე, როგორც ხელისუფლებას სურდა. განსაკუთრებით აღმაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ერთ-ერთ უმთავრეს ეროვნულ სიმდიდრეს, წყალს ჰყიდიათ.“

პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირდაპირი მიყიდვის წესით, თითქოს ეს მისი საკუთრება ყოფილიყო ან ანდერძით მიეღოს, მიჰყიდა „მულტიპლექს სოლუშენსს“. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მან ეს განკარგულება სწორედ გადადგომის წინა დღეს გასცა, როცა თბილისის ქუჩებში ცნობილი მოვლენები ვითრდებოდა.

ეს არის შვეიცარიაში რეგისტრირებული კომპანია, დღემდე მას არანაირი ინვესტიცია არ განუხორციელებია, მისი საქმიანობის შესახებ საერთოდ არაფერია ცნობილი, ოფისიც კი არ გააჩნია, საინტერესოა, საიდან გადაიხდის 85 მილიონს ეს კომპანია? რაც იმის მანიშნებელია, რომ „თბილისის წყლის“ უკან ხელისუფლების წარმომადგენლები დგანან; – აღნიშნავს **გიორგი გუზავა** და დასძენს, რომ ასეთ სქემას ხშირად იყენებენ ეროვნული სიმდიდრეების მის-

ათვისებლად. მას უცნაურად ეჩვენება ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულება დღემდე არ არის გაფორმებული და „თბილისის წყალში“ ინვესტიციები კვლავ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხორციელდება, მაშინ, როდესაც ოფიციალურად, პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად, ის გასხვისებულია.

„თბილისის წყლის“ გენერალურმა დირექტორმა, გეგი ქელბაქიანმა „ნაციონალურ ბიზნესთან“ საუბარი არ მოისურვა და ჩვენს კითხვებზე პასუხის გაცემა ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ნათია კუკულაძემ ითავა. თუმცა აღმოჩნდა, რომ რეალურად, ამომწურავი პასუხი ჩვენს არც ერთ კითხვაზე მასაც არ გააჩნდა. რაოდენ გასაკვირადაც უნდა მოგეჩვენოთ, არც ის ფლობდა არანაირ ინფორმაციას იმ კომპანიის შესახებ, რომელმაც „თბილისის წყალი“ იყიდა.

ნათია კუკულაძემ ეკონომიკის სამინისტროში გადაგვამისამართა და გვითხრა, რომ ყველა კითხვაზე იქ გაგვცემდნენ პასუხს. „ტენდერთან დაკავშირებით არანაირ ინფორმაციას არ ვფლობ, მხოლოდ ის ვიცი, რომ ხელშეკრულებაზე მუშაობა მიმდინარეობს, ამას ეკონომიკური განვითარების სამინისტრო კურირებს და დეტალები, ვლობა, მათთან გავრკვიოთ. იქიდან გამომდინარე, რომ ხელშეკრულება არ გაფორმებულა, შვეიცარიული კომპანია ჯერ არ შემოსულა ჩვენთან, მუშაობას ძველებურად ვაგრძელებთ და არც ბიუჯეტზე ვართ დამოკიდებულნი, – გვითხრა „თბილისის წყლის“ ხარისხის მართვის სამსახურის უფროსმა, ნათია კუკულაძემ.

ამის შემდეგ „ნაციონალური ბიზნესი“ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაუკავშირდა. დარწმუნებული ვიყავით, სამინისტროს პრესსამსახური, თავიანთი მოვალეობებიდან გამომდინარე, რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხებდა, მათ კი ოფიციალური მიმართვა მოგვთხოვეს და ჩინოვიკური პროცედურის შემდეგ, ათი დღის განმავლობაში ველოდით პასუხს კითხვაზე, თუ რატომ ჭიანჭურდება ოქტომბერში შერჩეულ კომპანიასთან ხელშეკრულების გაფორმება. ეკონომიკის სამინისტროს ათი დღე დასჭირდა იმის სათქმელად, რომ ამ საკითხში კომპეტენტურნი არ იყვნენ და მათ, თავის მხრივ, თბილისის მერიისკენ მიგვითითეს, ზოგადი ადმინისტრაციული კანონის თანახმად კი სამინისტრო ვალდებულია, უარი სამი დღის განმავლობაში გვაცნობოს!

ამის შემდეგ ეკონომიკის სამინისტრომ სასწრაფოდ გაავრცელა ინფორმაცია (თუმცა ისინი ამ საკითხში კომპეტენტურნი არ არიან!), რომ „მულტიპლექს სოლუშენსთან“ ხელშეკრულება საკარაულოდ(!) ერთ კვირაში გაფორმდებოდა, აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ, ჯერ კიდევ

არაფერი შეცვლილა. სამინისტროს მითითებით, ინფორმაციის მისაღებად ამჯერად თბილისის მერიას მივმართეთ, სადაც იმ კომპანიის თბილისის ოფისის მისამართიც კი არ იცოდნენ, რომელსაც ჩვენი ეროვნული სიმდიდრე გადაულოცეს. „ხელშეკრულებაზე მუშაობა მიმდინარეობს და არ ვიცი, როდის დასრულდება!“ – ასეთი კონკრეტული და აგრესიული პასუხი გავცევს მერიაში.

ამის შემდეგ „ნაციონალურმა ბიზნესმა“ თავად გაარკვია „მულტიპლექს სოლუშენსის“ თბილისის ოფისის მისამართი და მათაც ერთადერთი კითხვით მიმართა: როდის



გიორგი გუზავა

გაფორმდება „თბილისის წყალთან“ ხელშეკრულება? ამ კითხვაზე საპასუხოდ მათ ერთდღიანი მომზადება დასჭირდათ, მოგვიანებით კი მათაც ორგანიზაციის და აგრესიულად გვიპასუხეს, რომ ხელშეკრულებაზე მუშაობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. „არანაირი ინფორმაცია არა მაქვს იმ კომპანიაზე, რომელმაც „თბილისის წყალი“ იყიდა, ყველაფერი გასაიდუმლოებულია, თუ მართლაც სააკაშვილის ხელში აღმოჩნდა თბილისის წყალმომარაგების სისტემა, საქართველო დაიღუპება, რადგან არც ერთი ცივილიზებული ქვეყანა არ განვითარებულა თავისი ბუნებრივი რესურსების გამოყენების გარეშე“, – მიიჩნევს პროფესორი პაატა გიორგაძე.

„თბილისის წყლის“ პრივატიზებასთან დაკავშირებით სრულიად სხვაგვარ ინფორმაციას ფლობს „მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე გიორგი გაჩეჩილაძე. მისი თქმით, დედაქალაქის წყალმომარაგების სისტემას არა შვეიცარიული კომპანია, არამედ რუსები(!) ყიდულობენ, როგორც თავად ამბობს, მას ეს ინფორმაცია ბალტიისპირეთიდან ჩამოსულმა კოლეგებმა მიაწოდეს.

საზოგადოებისათვის უცნობი რჩება, რატომ მოხდა ასე ნაჩქარევად სახელმწიფოს მხრიდან მომგებიანი საწარმოს პრივატიზების გადაწყვეტილება მიღებული. კიდევ უფრო ბურუსითაა მოცული „მულტიპლექს სოლუშენსის“ ისტორია!